ᲙᲘᲠᲐ, 6 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

მათრახი

და სალამური

№ 26

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი



რა გაზეთი წაიბიღწოს, (არც თუ ძველად საქებარი,)
მან სხვა იხმოს, გაძოძებოს, ისევ ძველი შეგობარი.
მას მიენდოს ეველაფერში, მისი ენით მოუბარი,
და მოფინოს მთელ ქვეყანას, რომ არ ითქმის, ე, იმგვარი.

მაბაშგა.

ᲔᲛᲛᲐᲙᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ.

(თფილისის ქალაქის გამგეობაში)

კარგა ხანია თფილისის გამგეობისკენ მეჭირა თვალი. მინდოდა მცირე ხნით მაინც შევსულიყავ, იქაური ავი და კარგი გამეგო, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე ამ სურვილის სისრულეში მოყვანა.

— ალექსანდრე ივანეს-ძე აქა ბრძანდება? ვკითხე დარაჩოს.

— არ გახლავთ, ლექციაზე გეახლათ.

— ალექსანდრ მიხაილოვიჩი?

— აქა ბრძანდება.

მე ჭუდი მოვიხადე, ბაბანაკი მოვიძვრე, სატლაპონე ფერხთაგან წარვიძარცვე და მოკრძალებით შევედი.

— მობრძანდით ყმაწვილო, რა გნებავთ? ისეთი ალერსიანი კილოთი შემეკითხა მასპინძელი, რომ გულმოსულობის ნიშან წყალიც გამიქრა.

— გეახელით ისე,. . სხვათა შორის... პო, აი ტრამვაის შესახებ...

ღმერთმა ააშენოს ახალი დირექტორი, სწორეთ გამომიყვანა განსაცდელიდან.

— რა გნებავთ? უფასო ბილეთი?

— რასა ბრძანებთ, მე ისე, ბილეთის ფასების მომატების შესახებ მსურდა ორიოდ სიტყვა მომეხსენებია.

— როგორ თუ ფასების მომატებაზე? ჩვენ უფასოთ დავდივართ? ეს არ არის მართალი...

— არა ბ-ნო, მე თქვენზე არ მოგახსენებთ, თქვენ ჯვარი გწერიათ, მე ისე უბრალო ხალხზე ვამბობ.

— აჰა�ა!

— დიახ. მას შემდეგ, რაც ტრამვაის დირექციამ მუშებს შეუბრუნა ეგრეთ წოდებული კეხი და დაიმორჩილა, მას შემდეგ, რაც ქალაქის გამგეობის წარმომადგენლებმა და პრესის ,,მუშაკებმა'' ამის შესახებ ტრამვაის პარკში ნადიმი გადაიხადეს, მას შემდეგ რაც ქალაქის გამგეობამ ტრამვაის ახალ დირექტორს ქების დიპლომი უბოძა....

— რას ამბობთ ყმაწვილო, რას ამბობთ! როდის იყო, რომ უპრავამ ტრამვაის დირექტორს ქების ფურცელი უბოძა? ეს სრული სიცრუეა ანუ ეს მართალი არ არის. უპრავას მისთვის არაფერიც არ უბოძებია.

— უკაცრავად, მე საწყენათ არ მითქვამს. არ უბოძებია, მაგრამ ბრიუსელში კი გაუგზავნა.

— ჰოოო, ეგ სულ სხვა კითხვაა და ამასთანავე, საჭიროა დავუმატოთ, რომ ეს ქების ფურცელი დირექტორის თხოვნისამებრ მივეცით და არა მის უკითხავათ.

— ეს სულერთია ბ-ნო ჩემო. საქმე იმაშია, რომ რაკი ტრამვაის ადმინისტრაციამ მუშები მოარჯულა და ქალაქის გამგეობა მოალბო, ახლა ქალაქის მცხოვრებთ დაეჯახა.

— როგორ? სად დაეჯახა? ბევრი გაუყლიტა? ძლიერ შეწუხებული კილოთი შემეკითხა ალექსანდრ მიხაილოვიჩი.

— არა ბ-ნო, ვაგონი კი არ დასჯახებია, არამედ თვით დირექტორი. ე. ი. ჩვენებურათ რომ ვსთქვათ ბილეთების ფასი ასწია.

— როგორ თუ ასწია?

— აი როგორ: ვთქვათ თქვენ მუშტაიდში შეიარეთ სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავათ და ბინათ კი წყნეთის ბოლოზე ,,ვაკეზე'' ცხოვრობთ, სწორედ იქ სადაც მრავალი მგზავრი იხრჩვება უზომო ტალახში. სეირნობის შემდეგ, რაკი ფეხით ამდენი გზის გავლა გეზარებათ, საკუთარი ეტლი არა გყავთ და უფასო ბილეთიც არა გაქვთ, ტრამვაის ვაგონზე ჯდებით. აძლევ კონდუქტორს შაურს და ეუბნები მოგიხიოს წყნეთის ბილეთი, როგორც ეს ამ ორი დღის წინათ იყო.

— აიღებს და მოგიხევს. ახლა მუშები ერთობ ზრდილობიანათ იქცევიან.

— თქვენც არ მომიკვდეთ! , შაურიანი ბილეთი, მხოლოდ ზემმელის აფთიაქამდე მიგიყვანს და შემდეგ ახალი უნდა იყიდოო'' გეუბნება ის. შენ გიკვირს ეს ახალი წესი სანაქებო დირექტორისა და ეკითხები კონდუქტორს: ,,რატომ, ძმობილო, გუშინ აკი იძლეოდენ? ,,რა ვქნათ ბ-ნო, დღეს ასე გამოგვიცხადეს: ერთი ბილეთით, მხოლოდ ერთხელ შეიძლება გადაჯდომაო''.

— ჰმ, მიკვირს სწორეთ!

— გასაკვირი აქ იმდენი არაფერია. ხომ გაგიგონიათ ქართული ანდაზა: ,,სოფელი ვნახე უძალლო, შიგ გავიარე უჯოხო''ო. დირექტორს რა ენაღვლება. ვინ დაუშლის წყნეთიდან მუშტაიდამდე ხუთ-ექვსჯერ გადასხ-გადმოსხას ხალხი და ამგვარათ შაურები აგროვოს?

— როგორ თუ ვინ დაუშლის?

— დიახ ვინ დაუშლის? ქალაქის გამგეობა, მის კაბინეტში ქეიფობს, თავზე ხელს უსვამს და ქების ფურცლებს აძლევს, ხოლო პოლიცია თავს სრულიადაც არა გრძნობს დაჩაგრულათ, ვინაიდან უფასოთ ახტება ვაგონის წინა ბაქანაზე და დაჯრიროთობს. ერთი სიტყვით ობლები ვართ, ბატონო ალექსანდრე, ობლები!

— მე სწორეთ მაკვირვებს ყოველივე ეს! დირექტორი ძლიერ კარგი კაცია და ვსთხოვთ ხალხის შევიწროებას თავი დაანებოს. ან მე, ან ალექსანდრ ივანიჩი ან ნიკოლაი ეგორიჩი ან ყველანი ერთად ვნახავთ და ვსთხოვთ, ძლიერ გულით შევეხვეწებით ხალხი არ შეგვიწუხოს.

— სთხოვეთ თქვენი ჭირიმეთ, ძლიერ სთხოვეთ, მუხლებზე დაუჩოქეთ, თორემ დავიღუპეთ. კეთილი კაცი კია ის დირექტორი, მაგრამ ჩვენ იმდენათ არ ვენაღვლებით.

— სხვა ხომ არაფერი გნებავთ?

— გმადლობთ! მაქვს რამე რამეები, მაგრამ ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ. მშვიდობით.

— მშვიდობით და იმედიანათ ბრძანდებოდეთ ჩვენ რაც შეგვიძლია ვსთხოვთ, ხელზედაც ვემთხვევით! მშვიდობით.

იმედიც კარგი საქონელია!

ეშმაკი.

საშემოდგომო.

ქარმა დაჰბერა, შემოდგომისამ,
ხეთა ფოთლები ააშრიალა,
ბევრიც მოსწყვიტა და თან წაიღო
ჰაერში გიჟურ დაა*ბრიალა;
ქოხის ბულული აწეწ დაწეწა,
იქით ჩალის ზვინს ქუდი მოჰგლიჯა.
ცამ, ამის მოწმემ, წარბი შეიკრა
და მზესაც სახე ჩამოეღრიჯა.
ქარი კი მიჰქრის... კვნესის, ქვითინებს,
წყრომით აწყდება ქოხისა კარებს:
ხან შემოსძახებს. ,,ვაი ვუიო'',
ხან იქით, შორს... შორს ხმას მიამკვდარებს..
ჩუ იქით, სადღაც შარა გზაზედა
საწყლად ურემმა დაიჭრიალა,
თითქოს იგრძნო მან, რომ აქ ჩემს გულში
სევდის იარა გადაიშალა. .
. .ქვეყნის საბრუნავს გასჭირვებია
დამძიმებულა, ვეღარ მოძრაობს:
ვინც ,,არა რაა'', ის ყველაფერობს,
ვინც — ,,ყველაფერი" ის არარაობს!
ძალთა მდინარე ყინვად ქცეულა,
გრძნობათა ზღვა კი ამომშრალია,
ცა დაღვრემილა, მზე პირ გამკრთალა...
განა, არ ვიცი, რისი ბრალია!.
. . . . .
და... მოჰქრის ქარი, შემოდგომისა,
ზუზუნ-გუგუნით მთაბარს აწყდება:
ხან ნადირივით დაიღრიალებს,
ხან ხმას ჩაიწყვეტს და.. თითქოს კვდება!
მტრის ჯარებივით ამხედრებული
ცისკენ მიიწევს ღრუბელთა გროვა...
ზევიდან წყრომა, დაბლა ქვითინი,
ირგვლივ დუმილი... კვნესა და გლოვა!!..
რა ეშველება ქვეყნის საბრუნავს?
დამძიმებულა, ვეღარ მოძრაობს:
ვინც ,,არარაა'' ის ყველაფერობს,
ვინც „ყველაფერი", ის—არარაობს!..

ნ. ზომლეთელი.



დეპეშები

(გურიის სსგენტო).

ოზურგეთი. აღმოაჩინეს „საშიშარი'' შეთქმულობა. ჯერ-ჯერობით დაატყვევეს მეთაურები. ძველი პოლიციელი ექ. დოლიძე და მოხუცი ვაჭარი ელიაძე. — დაპატიმრებულია სხვა მონაწილენიც, რიცხვით 32 ვაჭარი, სხვებს ეძებენ. მოველით სენსაციურ ამბის გამომჟღავნებას.

აქადანგვ. უხმოსნოთ დარჩენილმა ქალაქის თავმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის ბოქაულის წინაშე. თხოულობს ნება დართონ საბჭოს სხდომები ციხეში გამართოს.

ლიხაური. გუბერნატორის მოსვლის დროს დამუნჯებულებმა ეხლა ამოიდგეს ენა ჯერჯერობით არავინ გაუგზავნიათ საიქიოს წინაპართა ამბის გასაგებათ. მასწავლებელ გოგონაძეს ნიკოკის მოურაობას აძლევენ.

შემოქმედი. არ გვყავს მთავრობის მამასახლისი და აღარც პენიკები, იმართება. ,,ბარიშნები და ინტელიგენტები'' ,,სკუჩნათ'' არიან.

ჩახატაურა. ბოქაული და მისი თანაშემწე, რაკი ,,ცხენებს ვერ შესწვდენ უნაგირებს მისდგენ სამტვრევათ».

სურები დავკარგეთ გაზეთების ადრესები არ ვიცით საიდან რა გამოიწერება.

ლანჩხუთი. მიქიაშვილი ადესიდან იწერება: მარტო მე რათა მდებთ ბრალს საზოგადოების ფულის შეჭმაში, როცა ზოგიერთი ლანჩხუთელი ქალებიც ენერგიულ დახმარებას მიწევდენო.

ვგეთი. ,,სამკითხველოს გამგეობა'' სთხოვს ყველა გულშემატკივრებს: შემოსწირონ ძველი, ნახმარი კარტი, (ბანქო) ნარდის კამათლები და სხვა ასეთი ძვირფასი ნივთები

ხიდისთავი დღეს ხიდისთაველ „მყლინწავ" რაინდებს, (რომელთა სახელებს ენერგიულათ ვმალავთ,) არავინ გაულახავთ. მაგრამ თუ კიდევ დაითვრენ და ვისმე ხელი ახლეს, მაშინ კი ჩვენ ვიცით... უთუოდ იმათ სახელებს გამოვაქვეყნებც.

აგენტი ლიკლიკაძე.



სურათი

ტურფა დილაა... მზე დაკისკასებს..
აი ჩაკოცნა მან მწვანე და ბარი...
მიესალამა მინდორს, ტყე და ველს
კდემა მოსილი პორმომღიმარი.
ახადა მიწას ნისლის საბანი
ცოტა ხნის უკან შავათ ნაღები. .
ეხლა გულს იკრავს ვით სატრფო სატრფოს
თვით სიყვარულის განალაღები.
მიწაც ბანს აძლევს, შეხარის ტურფას,
რუ ალუკლუკდა, მთამ გაიხარა,
მდელომ, ნატირმა უკუნეთ ბნელში,
თვალთაგან ცრემლი გადაიყარა..
სიხარულშია მიდამო, ზეცა
ოქროს სხივებში ანაკურები...
ილოს ოჯახიც შვებას განიცდის
მცირე იმედის სხივ ნაპკურები
ყველა მზის სხივზე გამოფენილა
დიდი, პატარა მშობლებთან ერთად
და შეხარიან რაღაცას გულით
დასახულს მხსნელათ, მიჩნეულს ღმერთად..
ეს—შალი არის—სახლში ნაქსოვი,
მიზეზი მათი სიხარულისა ..
იმედის წყარო, შვება ამ ხანათ,
ფრთების შემსხმელი საწყალ გულისა ..
გამოსაშრობათ მზეზე გაკიდეს
„მოთელვის“ შემდეგ განარეცხავი ..
ხვალ ბაზრობაა, შალს გაყიდიან
და ბედნიერათ უგრძვნიათ თავი.
„თუ სამ მანეთად გავყიდე ჩოხა,—
ამბობს ბარბალე - კარგი იქნება...
სიმინდს ვიყიდით და საპერანგეთ
ბავშვებისთვისაც ჩამოგვირჩება“. .
—მე... მე მიყიდე დედიკო კაბა ..
—მე კი პეპია სულ დამეფრიწა,
ეს კაბას ჩივა, მე ტიტველი ვარ,
რავა იცინი? გაგისკდა მიწა!...
ასე ცილობენ ბავშვები მარდათ:
ზოგი პერანგს თხოვს, ზოგი კაბასა,
ზოგს კიდევ ქუდი, წუღა არა აქვს...
არც კი სჩივიან ტიტველ მამასა,
რომელსაც ჩოხა შემოკონკია
და შარვალიდან მოუჩანს ხორცი,
ცოლიც ასე ყავს ჩამოგლეჯილი ..
სილარიბეა იქ გასაოცი...
„კარგი შვილებო, ყველას გიყიდით
სიმინდის შემდეგ რაც გადაგვრჩება,
მაშ ვისთვის გვინდა, თუ არა თქვენთვის
თუ რამ გვექნება, თუ რამ დაგვრჩება“.

მამის იმედმა წაახალისა
აათამაშა პაწაწკინები,
სიხარულისგან, ნახევრაო ტიტვლებს,
შვება მიეცათ, აესხათ ფრთები...
და აჟღურტულდენ გახარებულნი
დილის სხივებზე მშობლებთან ერთად...
თან შეხარიან შალს გამოკიდულს
იმედის წყაროს, დასახულს ღმერთად...

ვ. მალაქიაშვილი



ორი ეშმაკი.

პირველ. ერთი მითხარი თუ ძმა ხარ, ვი პარუ
კი ზნაიშ?

მეორე. ნიჩავო ნე ზნაიშ, ბრატ!

პირველ. არა, მართლა არ იცი?

მეორე. აბა საიდან უნდა ვიცოდე, მე შენ გ
თხრა უნივერცეთი გამითავებია, ან ღრანიცაში ყვ
ფილვარ.

პირველ. ჰო და მართალი ყოფილა .. რას ერჩი.

მეორე. რა ყოფილა მართალი, რას ამბობ?

პირველ. რა და „ნაშ კრაის“ მეპრესე.

მეორე. რატომ? რა სთქვა?

პირველ როგორ თუ რა სთქვა, შანშიაშვილ
შესახებ სწერს და თურმე ნუ იტყვით ახალგაზრ
პოეტის დანაშაული ეს „მომავლის“ დანაშაულ
ყოფილა.

მეორე. ეს როგორ, კაცო?

პირველ. როგორ და ისე, რომ ნ. დ.-ს წერილ

სათვის ადგილი მიუცია. «სწორეთ მიკვირს გაზეთი «მომავალი» როგორ ჩაება ამ პირადულ კინკლაობაშიო.»

მეორე. და რაღა „მომავალს“ უსაყვედურებს, ხომ თითონაც კარგა მოზრდილი ფელეტონი უძღვნა.

პირველ. არა, მან თუ უძღვნა ეს ხომ რუსულათ არის და განა რუსულათ უაზროობა დაიწერება?

მეორე. რას ამბობ კაცო??

პირველ. მე რას ვამბობ?. მე არაფერსაც არ ვამბობ.. ამას თითონ „ნაშკრაი“-ს მეპრესე ამბობს. „ეს დიდი შეცდომაა ბატივცემული (კურსივი ჩემია) გაზეთისა და ეს შეცდომა მით უფრო სამწუხაროა, რომ მისი მკითხველების დიდი უმრავლესობა რუსულათ ვერა კითხულობს და ამგვარათ იძულებულნი არიან დაიჯერონ ყოველივე ის, რაც ამ გაზეთის ფურცლებზე იწერება.“ო აბაااااჰ! გაიგე!!

მეორე საწყალი „მომავლის“ მკითხველები! სიბრძნის წყაროო ასე ახლოს ჰქონდეთ და კი ვერ ისარგებლონ?!

პირველ. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რუსულის უცოდინარი „პატივცემული“ „მომავლის“ მკითხველები ღმერთს არც ისე მოუძულებია, როგორც ეს „ნაშ კრაის“ ჰგონია.

მეორე. როგორ?

პირველ. როგორ და ისე, რომ ცნობილი ფელეტენი ბ-ნი ყარიბისა სავსებით გადაასადგენა გაზეთმა „დროებამ“ და მაშასადამე ხელ მისაწვდომი გახადა დაბეჩავებულ ქართველ მკითხველთათვისაც.

მეორე. მერე მაინც ეტვი აქვს ვისმე?

პირველ. შენგან არ მიკვირს?! შე კაი კაცო რაკი ქართულია აზრი როგორღა იქნება შიგ? საქმე ისაა პარუსკულათ უნდა დასწერო და წაიკითხო. აი თუნდ აიღე სიტყვა ,,ზლოსჩასტნი''. ხედავ როგორ ხმოვანი და ღრმა აზროვანია? ,,ზლოსჩასტნი!!'' ქართულათ კი ფშუკ!!! გამოვა რაღაც ,,ბედკრული, ბედუკულმართი'' და სხვა. განა ეს გავს რამეს?

მეორე. კიდევ კარგია, რომ რუსულის მცოდნე პირები საბრალო „მომავალს“ ავათ არ იხსენიებენ. რუსული არ ვიცი მარა მესიამოვნება, როცა გავიგონებ „პატივცემული'' მომავალი! ,,პატივცემული გაზეთი მომავალი'' და სხვა!

პირველ. ოოო! თავაზიანობა და სიტყვა კაზმულობა ყველა რუსულის მცოდნეთა თვისებაა. აბა ჩვენ რომ ვიცით როყოოთ „გაზეთი „დროება“! გაზეთი „ფონი“! იქ უთუოდ უნდა დააყოლონ სიტყვა „პატივცემული“.

მეორე. ეს ალბათ პატივისცემისა და ამხანაგობის ნიშნათ, არა?

პირველ. რა ლაპარაკი უნდა..

მეორე. მე დღეიდან ვიწყებ რუსულის სწავლას და ახალ წლიდან ერთ რუსულ გაზეთს გამოვცემ.

პირველ. მეც შენთან ვარ.

მასკა.



მ ა რ ა დ ა.

ეშმაკისაგან მივიღე
სასტიკი მოწერილობა:
«სიგრძე არ შვენის შარადას,
უყავ ფრთა შეკრეჭილობა!»
ჩვენც ფერხთა მისთა მტვერნი ვართ,
მისგან სულ მონაბერები,
ყოველი სიტყვა იმისი
არს ჩვენგან დასაჯერები.
მაშ მოდით, ტყეში გავიმეტეთ
მოვნახოთ ბუჩქი პატარა...
სასტიკი ზამთრის ყინვები
მან ქურქით გამოატარა.
სხვებმა რო ფერი იცვალეს,
და ჩამოყარეს ყურები,
მას ისევ მწვანე სამოსი
ჰქონდა თავს მონახურები
(ზოგ ვაჟბატონსაც არ აენებს
ამ ბუჩქის მიბაძულება:
ჭირსა და ლხინში სიმტკიცე,
ერთგვარი მოკაზმულობა,
თორემ „ქადისა ჭამაში
გულსაც არ უნდა გულობა,“
აქ საკითხსა სჭრის სტომაქი
და მისი მოხაზულობა!)
აი, ამ ტურფა მცენარეს
კენწერო მოვსჭრათ ნაზათა,
(ხშირათ უგებენ „დიდ გვამებს“
მას ფეხქვეშ ფიანდაზათა!
დანარჩენ ტანსა და ძირსა
ხელი ჩასჭიდეთ კარგათა,

(ბოლო დროს გამოგვადგება
შარადის მოსაქარგათა.)
შემდეგ კი, ნაცვალ-სახელი
გვეპირდება უსიკვდილოთა,
(ის თქვენი საკუთარია,
მას ვერვინ შეგეცილოთა,)
მაგრამა ასო ხმოვანი
მეტ ბარგათ დასთრევს ბოლოსა...
(ჰხამს მოღალატე შარადის,
სიკვდილმა გაიყოლოსა)
და აი როგორ უეცარ
მიდგა შარადა კიდესა !
(ვინ იცის იქნებ ზოგ-ზოგმა,
სიმღერაც ამოჰკიდესა!)
ეს მით უმეტეს, რომ ახლა
იარაღს ვეძებთ ხელათა,
რომელსაც ბაიათები
უხდება დასაკვრელათა,
მაგრამ გახსოვდეთ, სიმები
არ მოხსნათ, ჰქონდეს მთელათა,
ერთი მათგანიც რო აკლდეს,
გახდება სადარდელათა.
ამ გვარათ, კარზე მოგვადგა
სტუმარი, არა საქები:
გულ-ცივი, სიტყვა-მსუსხავი,
თეთრი სუდარის დამგები,
ღარიბის რისხვა, ქვრივ-ობრის
მეტ ჰირ-ვარამში ჩამგდები,
მძარცველი ტყეთა სიმწვანის,
ყვავილთა გამჩანაგები,
ჩანჩქერის ფერხთა ბორკილი,
მგალობელ სირთა გამგდები
მხოლოდ სამი თვის ბატონი,
შემდეგ კი საქმის წამგები.
თუ აქაც, ჩემო მკითხველო,
გისუსტა სიტყვის ძალამა...
ვეღარ გიშველის, ძმობილო
ვერც უკვდავების მალამო.

კოლო.



მაგი აჩრდილი.

—

დამეკ. ვზიავარ მარტოდ-მარტო მე ჩემს ოთახში.
მწარე ფიქრები მოუსვენრად იერევა თავში!
უზომო ტანჯვით გატეხილი გული დუნდება
სული მაშიეოთავს უიმედოთ, თვალთ, მაბნელდება.
გარშემო ერეა არე-მარე, სიჩუარო მთელი,
ბანს მაძლევს მხოლოდ ერთად ერთი მწარე ნადვილი!
მივჩერებივარ გარინდებულ, მდუმარე სარკეშელს
და გულის ძგერით, მოუსვენრად განთიადს ვედი.
მაგრამ ჩუ, აგერ!.. ეგ ვინ არი ჩუმით, ქურდულათ
ოთახის კართან ადექაჯივით რომ ატუზულა?
ვინ მოიწვია, რა უნდოდა ნეტა მას ჩემთან
მგზავრია თუ ვინ? ამ დამეში სიდან მოსულა?..
ოჰ მივხვდი, მივხვდი!.. ის არის ის, შაკი აჩრდილი
ბავშობიდანვე ჩემი მტერი, შურით ადვსილი...
განგებ მოსულა, თვალს ადევნებს ჩემს მოქმედებას,
რომ არ ვეურჩო მის უსახდვრო სურვილს და ნებას.
როგორც აქამდე დღესაც ამის უწირავს ხელში
ჩემი სადავე, სიცოცხლე და თვით ჩემი ბედი,
და რომ გავბედო, მოვისურვო თავისუფლება
მეისვე ჩამქოლავს საზიზღარი, ფლიდი და ებედი.
და ამდამაც სადარაჯოთ მოვიდა იგი
ჩანგს ვაკვირდა, სულელურათ რვეულს შეეხო...
ოჰ განთიადო, განთიადო გამოჩნდი ბარემ
დროა განდევნო ეგ აჩრდილი, დოდინი შეეო.

ნ. ჩხიკვაძე.



გურია

ეპისტოლე ეშმაკისადმი.

ბიძია ეშმაკო!

ბევრი სასაცილო ამბავი გამიგონია, ბევრი რა სმენია ჩემს ყურს სასიამოვნო ფრიად, ბევრი მინახავს საეშმაკო,

„მაგრამ ვფიცავარ ჯოჯოხეთს
სატანით ბელზებელითა
ვფიცავარ კონსტიტუციას
ჯალათით, სახჩობელითა.

—

ვფიცავარ ეკლესიასა
საკესა მლოცველებითა
მაჰმადიანი სტრაჟების
მორეკილს მათრახებითა.

ვფიცავარ მღვდელსა, ხუცესსა,
სახარება და ჯვარითა,
ვფიცავარ სტომაქს იმათსა
გამაძღარ არის დრამითა.

—

ვფიცავარ ყოველ საფიცარს;
არ გავაჭრელო ენითა;
ჯერ არ მენახოს ასეთი,
რაც რომ მოგითხრა ქვეითა.

ასე და ამა პირსა ზედა ისმინეთ, ვისაც ასხენ ყურნი სმენათ. ქალაქ მომწვარეთში ცხოვრებს კაცი ვინმე მიმდევარი (და ვერ მიმწევი) ვაჭრობისა ანტონ გვარი მისი ელიადე. ამა ანტონსა ყვანდა შვილი ერთი ძე ქაქუჩი. ქაქუჩი ესე ყმაწვილობითვე იყო მამის ხელობისადმი მიდრეკილი, ამისათვის დაუტევა სახლი და კარი თვისი. დაუტევა მშობელნი თვისნი და წარვიდა უცხოსა ადგილსა ცდათ ბ[illegible]დისა. მას მერმეთ განვლო ოთხმა წელმა და არა იყო ცნობა ქაქუჩისა თუ სად არის იგი. მწუხარე მამა ანტონი გაზეთით აუწყებს ქ[illegible]ეყანას შვილის დაკარგვას და სთხოვს ყველას ვინც რა იცის აცნობოს მამას. მაგრამ ამოოთ სდუმს ყველანი. ეხლა ჯერ არს მოვიხსენიოთ რომელ ანტონსა ყვანდა ძე მეორე ვახუშტი, რომელსაც უწევდა სალდათობა მაგრამ გული მისი არ იყო მიდრეკილი სალდათობისადმი და არცა მამასა სურდა განეშორებინა იგი. ამისათვის ანტონმა ინახულა ძველი მსახური პოლიციისა ფრიად ერთგული მთავრობისა, დამსახურებული ორდენებითა და პენსიითა გამოცდილი, გამოჭახრაკებული ,,დეისტვიტელნი გუბერსკი სეკრეტარი'' ექვთიმე დოლიძე. ანტონმა აუწყა გაჭირვება თვისი.

— ჩინოვნიკო და პატივცემულო ექვთიმე, მრავლისა გამაპენსიონერებელო, მრავლისა სალდათობიდან გადამრჩენელო მომხედე მეცა და მეც ..

— ექვთიმე და ანტონ თათბირს ყოფენ ურთიერთ არს. ამისა შემდგომათ ბოდის ანტონი ბაზარში თან აქვს ქაღალდი ,,გამხეთქი ქვისა'' და სთხოვს ბაზრის მცხოვრებთ პატივ-ცემულ ხმოსნებს და ვაჭრებს მოუწერონ ხელი რომ მისი შვილი ქაქუჩი ოთხი წელიწადი არ უნახავს მათ თვალებს. დაფიქრდენ ძრიელ ვაჭრები, ეძნელებათ ხელის მოწერა, რადგან ეს იყო სრული სიმართლე და არ იყვნენ ჩვეულნი, მაგრამ სამოცზე მეტმა მაინც მოაწერა ხელი. ანტონმა ქაღალდი წარადგინა სადაცა ჯერ იყო... და აჰა გაიხარეთ; დაწვა რწყილი და შვა აქლემი... პატიოსანნი ვაჭარნი კეთილ მსახური პოლიციის «Старый усердный служакъ»-ი და შვილის მაძებარი მამა შეაბრძანეს ანტონ მაქსიმესძე ღლონტის სახლში და აქვთ იქ ,,უზნველი პურის ჭამა'' უმეტესობა უნდა დარჩეს იქ სახემწიფო ხარჯზე თითო თვე ანტონ კი სამი თვე. ამ რიგათ პურა ძვირი ღლონტის სახლი კიდევ გაივსო მეამბოხეებით. ამბობენ რომ მათ ჰქონდათ კრება ნება დაურთველი. ზოგი ვაჭარი ,,დეეურნობით'' არიან სასტუმროში, რომ ვაჭრობა მთელათ არ დაეცეს; „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა''.

უტუ!?

სიმღერა მეზღვაურისა

—

მაღალს კანდელზე ფირუზი ცისა,
როს ვარსკვლავები აენთებიან
და მათნი თვალნი, მოკამკამენი,
ცის ლურჯ მინდორზე იფანტებიან.
მე იმათ შორის გარკვევით ვამჩნევ
ერთსა მნათობსა ბედის ჩემისას,
აღტაცებული შევსცქერი და თან
თვალს ვერ ვაშორებ ციმციმსა მისას.
თან ტკბილს ოცნებას წარვეტანები...
ჩემს გარეშემო ზღვა ოდნავ ღელავს,
ნავი კი მიჰქრის, გზასა მიიკვლევს
და გაბედულათ ზღვის ტალღებს თელავს...
მიწვევს ოცნება შორს, იქით... იქით...
შორე გაისმის ჩემი სიმღერა,
რომელშიც ერთად ჩაქსოვილია
ჩემი ფიქრები და გულის ძგერა:
„არის ღამე,
ბნელი ღამე,
გარემოა სულ ჩანთქმული —
მეზღვაურის
მოგზაურის
არ შედრკება მაინც გული!..
მიჰქრის ნავი,
მას ნიავი
ტკბილ ნანინას ეუბნება,
წყება ტალღათ,
მჩქეფთა ლაღათ,
ნავის გვერდთ ელამუნება...
რომც დაჰქროლოს,
ააყროლოს
ქარმა ზღვა, ეგ უპირული,—
მეზღვაურის
მოგზაურის
არ შედრკება მაინც გული!..
აზავთებულს,
აშავმთებულს
ზვირთებს ბრძოლას გაუმართავს:—
გაკაჟდება!—
ვისაც სწვდება,

დანარცხავს, გულს გაუფათრავს...
არის ღამე,
ბნელი ღამე,
გარემოა სულ ჩანთქმული,—
მეზღვაურის,
მოგზაურის
არ შედრკება მაინც გული!..“

—

...ქარმა დაჰქროლა... ცა მოიქუშა...
ბედის ვარსკლავი კი მაინც ბრწინავს!
ზღვა აბობოქრდა, აჯოჯოხეთდა...
ჩემი ნავი კი მაინც მიფრინავს!..
გასალდი გულთ! გაკაჟდით მკლავნო!
უსწორეთ საპე, უსვით ნიჩფები;
ვერ შეგვაჩერებს აწ ვერაფერი:
ქარს გაატანეთ მწვავე იჭვები!
დაბრკოლებანი ნურაფრად გვიჩანს,
სამშვიდობოსკენ ჩვენ ვიმზირებით!
მივაღწევთ - კარგი! არა და... სადმე
ისევ ამ გზაზე ჩავაძირებით!..

ნ. ზომლეთელი.

მესტვირული

(ბათუმისათვის)

მისაყვედურეს: „ბლიკავაძემ
ყურები ჩამოყარაო,
რა დაემართა ნეტავი,
რა ცოდვა შეეყარაო,
რომ აღარ ბერავს იმ გუდას,
რაც ბერა, ის გვაკმარაო,
თუ სენი რამე შეება
წილში და გამოხარაო“?
საყვედურს შეჩვეული ვარ,
მსმენია წარამარაო,
მარა ვაპირებ ვიტვირთო,
თუ ღმერთი მომეხმარაო,
ხანდახან პროტესტს ვუცხადებ,
თუ ვინმემ შეიწყენარაო
და ჩემი გუდის გაბერვა
კვირეში თითო კმარაო.
მაშ ასე: ჩემო ქამანჩა,
დაუკარ ჩქარა-ჩქარაო!
თუმცა და გადაგვეკიდა
აქა იქ ვიღაც, მარაო,
ერთგულიც მოგვეპოვება,
მტერი იმდენიც არაო.
და თუ უმართლოთ გვემდურის
ჩვენ, ვინმე, მეტიჩარაო,
ასემც უქნია, ჯურღმულში
თავდაღმა გადამხტარაო!
მეგობრათ შემრჩეს ლატაკი,
მშიერი, წვრე დამწვარაო,
ლუკმისა მაძიებელი,
მთხოვნელი კარდა კარაო.
დაუკარ ჩემო ქამანჩა,
ვიტყვი აქ მცირე რამესო,
ამდენმა უსამართლობამ
სიცოცხლე მომიშხამესო:
ერთსა დავესწარ კრებასა,
გასაკვირს მე იმ ღამესო,
სად არჩევანი ხდებოდა,
როს ჟინი მოიჭამესო.
(სტვირს გავტეხ თუ ცალ მხრიობა
მე აქა შემომწამესო!)
მოსამსახურეს იწვევდენ,
აქ მისთვის მოისკამესო
და ოთხისა წილ ისინი,
კინალამ გაისამესო.
ღმერთმა მაშოროს ამათზე
რომ ითქვას „მოიქთამესო“
მხოლოთ ღა არჩევანებში
მცირედი მოიხამესო.
დაუკარ ჩემო ქამანჩავ,
თან-და-თან უკეთესიო!
წამოდგა ვინმე ჭაბუკი,
ჩაგრულთ დარაჯი მწყემსიო,
სიტყვები დააჭახრაკა
ქარაგმით დანაკვესიო: (?)

—მოსამსახურის არჩევის
არის ერთგვარი წესიო:
გამოცდა, ამბის გაგება,
რომელიც იყოს სქესიო,
მარამ ეს წესი არ ვარგა,
ძველზეა უძველესიო,
გიხშიროთ გამჭრიახობა,
ჩვენ, გრძნობის დანალესიო,
ჭკუა ისარზე მახვილი,
გონებით განალესიო,—
—წილის ყრით გამოვარჩიოთ
იმათში უკეთესიო.
დასხდენ და წილი უყარეს
„სალდათურა“ ნომრებითა,
წამოგრიხეს ქაღალდები
იმათ, თითის გორებითა,
მოაღირეს კოთხო ქუდი,
შიგ ჩაყარეს ტორებითა,
მერე აურ დაურია
ერთმა ხელის მორებითა.
(ვიდექი და ვიცინოდი
განზე და მოშორებითა(!)
ამოიღეს, ვით წესია
ერთსა ერგო სწორებითა...
უკეთესიც იგი იყო
ორატორის ჭორებითა.

ბლიკვაძე.

მან ამა სოფლად ბევრი იწვალა,
(სახეც მრავალ გზის გამოიცვალა,)
ბაგრამ ბედისგან მოძულებული,
პრესის სანაგვეს გადაგდებული
გარდიცვალა.
მის აზრს ბუნდოვანს და მახინჯ სახეს,
მლიქვნელურ კილოს, ზნეს განაბახებს,
არც სული ქონდა, არც ხორცი წმინდა...
მას სიკვდილიდან ვერ დაიხსნიდა
ვერა რა ძალა.
და აი, მკვდარსაც არ ასვენებენ,
სასაფლაოსკენ მოასვენებენ,
რომ მიაბარონ იქ შავ სამარეს
(თუ აქ გაიხრწნა, მოსწამლავს არეს
იმის სიმყრალე.)
თან მისდევს ყველა ჰირისუფალი...
მწარეთ დასტირით სულყველას თვალი!
ან კი რა დარჩათ ამ უბედურებს,
მათ გულის ტკივილს რო გაუკურნებს,
სხვა სატრფიალე?

კი.

მესტვირული.

(ფოთისათვის).

ყური სმენად მაქვს, თვალები
გარშემო საცქერელათა,
გონება დასაფასებლათ,
სტვირი კი, სამღერელათა.
რაც სიავეა, სიცუდე,
იმას გავჭკილავ ხელათა,

არ მიყვარს კაცის სიმრუდე,
მსურს ვიყო მართლის მცველათა.
ბრმას, ბრმობას ვუმხელ თამამად,
გულისა დამდაგველათა,
დუშმანსა მუხანათობას
სინდისის ასაწველათა.
და ამ ჩემს ტკბილ-მწარ სიმღერას
გავსძახებ მინდორ-ველათა.

ვუმღერებ, დიახ ვუმღერებ
ნერვების ასაშლელათა
ფოთის დიდებულ უპრავას,
მოვლენილს ჩვენდა მცველათა.
ღარიბებს ყურადღებას რო
მიაქცევს ერთობ ძნელათა,
სხვაფერ კი, მუდამ მზადაა
ტყავისა გასახდელათა.
ქუჩებსა აღარ უკეთებს
ბაზარში გასასვლელათა,
დარდი არა აქვს, რომ ხალხი
იღვრება ცხარე ცრემლათა.
ფარნებსაც აღარ იმეტებს
მიდამოს სანათელათა,
ნავთს ხომ სულ აღარ იძლევა
ლამპებში ჩასასხმელათა.
სამაგიეროთ თვის მსახურთ
ჯიბეს გაუშლის ქველათა,
კოწიას, ლუარსაბს, იონას,
უკ-რდეთ დასათვლელათა.
ბიქტორსაც კარგათ იკითხავს
(ყავს აფთიაქის მცველათა)
საჭირო დროზე იონას
და ნიკოს მისაშველათა...
და ან კი რა ჰქნას? მკითხველო
პასუხი მიგე ხელათა,
„სოციალიზმი“ რას გიზამს
თუ კუჭი გიჩანს მწველათა?
უნდა დასტოვო პირველი
(თუმც გიჩნდეს სასურველათა)
და გაეკიდო სხვა საქმეს
ქანქარის საშოვნელათა.
თუ გინდა პატივ-ღირსება
იპოვო ხელ-დახელათა,
თორემ ორ სკამზე მჯდომარე
წახდები უეჭველათა

ნესტორსაც იცნობ, ინჟინერს,
ჩემო მკითხველო მგონია,
კაცი სწავლით და ცოდნითა
დიახაც მოსაწონია,
მაგრამ ფოთს ჩამოსვლისთანვე
სქლად შემოიკრა ქონია,
თან პირობები მუშების,
უფსკრულში გაარონია.
ნიკოს კალთაში თავსა დებს
(ხერხიც ხომ მოუგონია?)
ვერ მიაღწიოს მიზანსა,
არ მჯერა, არა მგონია.
აწ კი სტვირს განზე გადავდებ
არ შემწევს მეტი ღონია
გუდა მეჩუტვის, ეკარგვის
ხმა ტკბილი გასაგონია.

ტლინკაძე.

გურული სცენა.

დების მიწერ-მოწერა.

II

ძვირფასო დაო ფაცია!

„შენი წიგნი წავიკითხე,
რაც რომ ჩემთვის მოგეწერა,
წაგიკითხე გამეცინა
მიკვირს, რამ გამოგაშტერა?“

არ გეწყინოს გენაცვალე, გასაკუჭებლათ კი არა გწერ ისე შინაურულათ. ძრიელ მიკვირს ჩემო დაია შენი შეხედულობა ცოლ-ქმრობაზე. შენი აზრით ცოლ-ქმრობას ჯვარისწერის მეტი აფერი სდომებია, ოღონდ კი ჯვარსაწერი ერთი ქალი იყოს და ერთი კაცი, არა ჩემო დაია. მაგ აზრის ბებიები იყო და ახლანდელ დროში მაგის თქმაი სირცხვილია მაგ აზრს დუმაში პურიშკევიჩი იცავს და ჩვენ რომ ახალ-თაობის ქალებმა მემარჯვნე დეპუტატს მხარი დუუჭიროთ, ქე შევიჯაყებით. შენ მწერ, ქმარს რომ წაყობი, ერთად რომ იცხოვრებთ, ქე შეგიყვარდება, ამიზა წინაწინ გაცნობა არაა საჭიროო. ცდები ჩემო დაია, ცდები. წარმევიდგინოთ დაგიჯერე და შენებურა გავთხოვდი, ესე იგი პირველათ ვინც შემხთება, ან ვისაც შუამავალი მეიყვანს, წავყევი საყტარში და დევიწერე ჯვარი. გადიხადა ქორწილი, მიმიყვანა შინ, ერთ კვირეს ქე

ვართ ტკბილათ. მერე ან მე არ მომეწონა ქმრის ხასიათი და მიმართულება, ან მას არ მოეწონა ჩემი, შეიქნა ერთი ჩხუბი და დავიდარაბა, შეგვექნა მედიატორე ალარჩევი. კიდევ კაი, თუ იმდენზე შეგნებული დარჩა, მედიატორეებში გამომყვა, იქნება იშისანი ნადირია, პოლიციაში გეიქცა და თავზე სტრაფნიკები დამასია. ხომ გამიმწარდა მაშინ სიცოცხლე? ამას იგი არ ჯობს, პაწეი მეითმინო, გეიხედო, გამეიხედო, გამეიკითხო და ვისთანაც საუკუნოთ გინდა ცხოვრება შენც და მანაც ერთი-ერთმანეთი კარგათ გეიცნო? შენ იწერები, თუ ვინმესთან გეიარე, თუ ვინმეს დიელაპარაკე, მეიჯაყებიო, გეილანძღები. არა ჩემო დაია, არც ასეა საქმე. კაცი ქალის მჭამელი არაა, თუ გლახათ არ უჩვენე თავი, ვეფერს ვერ კადრებს და ვინცხა რაცხას იტყვის, ვინცხა რაცხას მოპროტავს და გაამბუტურებს, იმას თუ უყურე, კაი სერია? მე ჩემი თავით ვიარები და თუ მოვჯაყავ, ჩემ თავს მოვჯაყავ, არე კაცს ჩემთან აფერი საქმე აქ? არც იგი შემიძლია, ზოგიერთსავით ვინმეს სიმდიდრეს ან გვარიშვილობას დივეხარბო, მე ქმარი მინდა ამხანაგი, თვარა არც ფულზე და არც გვარზე ჯვარს არ ვიწერ. იმფერი კაცი მინდა, მე მისი მესმოდეს და მას ჩემი ეყურებოდეს, ამხანაგათ მივაჩნდე და არა მონათ, თუ ვნახავ ამფერ კაცს ქე წავყობი და თვარა ქე ვაგდივარ ჩემდა. ჩემ თავს ჩემი ხელობით ყოლთვინ ვირჩენ. იგი დროი წევიდა, რომ რავაც უნდოდენ, ისე გადაგვაგდებდენ. ახლა ჩვენც შევიგენით, რომ ჩვენც ადამიანები ვართ თანასწორი უფლებით. ასე ჩემო დაია, თუ შემხვია ჩემი მოსაწონი და მასაც მოვეწონე, კიდეც წავყობი და ქორწინზეც დაგპატიჟებ და გვიყურე ორივემ რაფერ დავამღეროთ ეიტარას:

„მე ვინც მიყვარს და მომწონს
იმას ვენაცვალები,
ვინც არ მიყვარს, არ მომწონს
დაუდგება თვალები.

შენი ვერიჩკა.
პიტნა.

ჩემს მჩაგვრელს.

წინ ნუ მიუძღვი უსამართლობას,
სიმართლეს მიჰყევ, ჩემო ძმობილო.
შენ, ჩემი ოფლით გასუქებული,
მეტად ნუ მჩაგრავ ჩემებრ შობილო!

ეგ ფუფუნება ჩემგან მიიღე,
ჩემი ხელითვე ახვედი მაღლა...
მე დამრჩა მხოლოდ ძვალი და ტყავი
და ტყავსაც მაძრობ ბედშავსა ახლა?

რაათა, რისთვის მკლავ მე უბრალოსა?
ხომ ჩემგანა ხარ ცხოვრებიო მტკიცი,
მე ვხნავ და ვთესავ, მე გაფუფუნებ,
უჩემოდ რახარ განა არ იცი?

ნუ თუ არ ფიქრობ, რო მეცა შენებრ
კაცი ვარ, კაცი, ადამიანი..
შენ თუ დედისა მუცლით შობილხარ
მაშ მე ვინ მშობდა? რიყე ქვიანი?

რატომ არ ამბობ: ესეც ჩემსავით
ხორციელია ეს შავ დღიანი..
ეხლა მიგიხვდი, თუ რისთვის მჩაგრავ:
შენ რომ სუფთა ხარ, მე ჭუჭყიანი!

ნუ თუ არ ცი რო შენი განძი
ამავე ჭუჭყით შექმნილი არი?
ჭუჭყი შობს ყოველ სისუფთავესა,
ჭუჭყი სიწმინდის სახსარი არი.

შენ მაღლა სდგეხარ და მე კი დაბლა,
მაგრამ მეც ველი ზე ამაღლებას,
ძველი ცხოვრების პირქვე დამხობას,
იმის დარღვევას და განახლებას.

ა. განჯელი.

სასაცილო ამბები

1 **შინდლმა.** ამ დღეებში, სათავად-აზნაურო ბანკის მახლობლათ ვიღაც უცნობი კაცი შეიპყრეს. ექვი მიეტანათ, რომ ის რაღაცას გაურბოდა და ემალებოდა. ხანმოკლე გამოძიებამ სასაცილო ამბავი აღმოაჩინა. თურმე უცნობი, ბ-ნი სვ. სვირელი, მხოლოდ და მხოლოდ სამედიატორო სამართალს გაურბოდა და ემალებოდა. ის მაშინვე გაანთავისუფლეს.

2 **შეცდმა.** იმავე დღეს ავქალის ქუჩაზე დააკავეს შეორე საეკეკო პირი. ის ცარიელ ოთახებს და უმთავრესად კი სარდაფებს ათვალიერებდა და ბეს აძლევდა. ეგონათ ამ ყმაწვილს ნება დაურთველი კრების გამართვა უნდოდა. გამოძიებამ გამოარკვია, რომ უცნობი, ბ-ნი შათირიშვილი, «აზანიატებდა» ყველა თავისუფალ ოთახს, რა არის სახალხო უნივერსიტეტის სექციამ წსრმოდგენა არ გამართოსო. ისიც მაშინვე გაანთავისუფლეს.

გამოცანა ოზურგეთისათვის.

(ბიბაძეა რაფ. ერეთა ი ა)

ეს რა «გმირი» მოგვევლინა,
საიდან და სადაური?
სქელ-კანა და მხრებ-ყვითელა,
შუბლ კვიჟლა და უცნაური?
ვიცნობთ, ვიცნობთ მაგ საბრალოს,
სულ არ არის აქაური,
ძველათ სხვაგან ბინადრობდა
გმირი იყო ის განჯური.
მერმე ჩვენში გადმოფრინდა
ცემა იცის და მუნჯური,
კარტს თამაშობს, ღვინოს ხუხავს,
(არც ეყოფა ერთი ჭური!)
ეგ გმირი ხომ პედაგოგობს,
მოწაფეთა ტვინის მტერი,
ყურს აგლეჯს და გვერდებს უზელს
მუშტი უჩანს მონადერი.
დახე, კლასში როგორ მარდათ,
თითქო ტყეში, დანავარდობს,
იგინება, ილანძღება,
ქეიფობს და არას დარდობს.
აგერ, ხედავთ სტოლთან მჯდარსა?
რას ბეჟუტურობ ნეტა ჩიტო:
— პოლიციას ვენაცვალე,
ამბობს, ყმაწვილები ჟლიტო.
უმანკო და ტურფა-ნაზი
სულ არ არის დასასჯელი,
თუმცა სკოლას ურჩევნია
საჯინიბო, ან ბოსელი.

ავყია.

უცხო სიტყვათა ახსნა.

(ყვირილასათვის).

,,კლიოპკა''. დეპოს მუშების საყვარელი სიტყვა, (იგულისხმე მაღარიჩი).

ბათუმის დანაკვება. მემუშტ კრივეთა ფახი, ანუ გადასროლილი ხელთათმანი.

წისქვილი—მატორით. კალატოზ-კვირიკაშვილის საწვალებელ-საჯახირებელი მანქანა.

დანოსი. დეპოში ხმარებული მიწერ-მოწერა.

ხმკაითხველო. ,,ზაკვკაზიე-დროები''-ს საწყობი.

ბ-ნი რევაზიშვილი. კარტოფნიკთა ჩემპიონი.

დეპო. ,,კრამოლნიკები''-ს გასაწმენდი დაწესებულება.

გაზეთი. მუშათა ,,საფრთხობელა''.

წ. კ. გ. საზ. გნაყოფიერება. დამშრალი მდინარეების ,,სკუჩნაობა''. მოყიალეთა საზამთრო სახმარი სიტყვა.

,,უცაბედი''. სტრაფნიკთა გასამართლებელი საბუთი ვისიმე მოკვლის დროს.

საქარველი—მ.

ზალიკაის მეორე წერილი

(სახელმწიფო დუმაში)

თქვენო მაღალ კურთხებავ, თავდიდის სასახლის დუმავ ბატონო!

ეგერ იქით ქე გამოგიგზანე ერთი წერილი, მარა იგი ქე წეიტყემლისკვერე. ახლა ერთს კიდო ვშინჯავ, თუ გინდა აგიც ძაღლის ყურყულსავით გამიაროს და მერე რავქნა, დაგაჭრი ბაწარს. რავა ყველა ჩვენ გაჭივრებას ჯვარი წერია, მარა რაცხა ერთი შაურის მაინც გაგვიკეთე რამე! აი საქმე, რაშია ჩვენო ბატონო, ჩვენო გურიელო: შარშანისწინ, კი გეიგონებდით, ჩვენში იყო ასვარიე-დასვარიე, თოფის ბგიალი ცეცხლის ბრიალი, კაცის ღრიალი, ქალის კივილი, ცხენის ჭიხვინი, ძროხის ბღავილი, ძაღლების ყეფა, მამლის ყივილი.. მაშინ ერთი ქრისტეს ფეხის მჭამელი გოთაული ვინცხა მიქიაშვილიაო იგი დაგვიყენეს, მარა თქვენ დუშმანს იმისანაი! დაყლიპა კათხასავით თვალები, შემოგვისია ცოფიანის შესუნული ზეკუცია, ძველი და ახალი ედონიკები ერთათ გადაგვაშვლეპია ხურგზე. დედავ, გეკიხედე და მეორე გზობა არ მოგვაჭირეს ბოჯიკაი კისერში?! ,,სკარე, სკარეო'' და დალაპარიკება არ გვაცალეს, ისე ზე წაგვაფსეს ყველაყაი უთაფლო სკასავით. ვაი დედავ, თურმე უკინდამაი ქე შეუყლანცაკს, ხორველათ გუუჩთა სტომაკში. ჰოდა ახლა ამას გეხვეწებით, აქანაი ვერ ვნახეთ, მარა იქინეი მაინც კი იქნება მგონია რამე კალონი და თუ არ არის კალონის დამწერლებს უთხარი შენი ჭირიმე: თქვენი გამოგზანილი კაცის შენაყლანცავი თქვენ უნდა იდვათ თქვა. რავა, თუ სანდო აო იყო ხალოგს დავადებიებდითქვა, ასე ყველაყაი ქე მიაძღება ფულს და ჩვენ ძვალ-ტყავიც აღარ შეგვრჩებათქვა.

მეორე იქინეი ჩვენებური ერობა ჩამევიდეს ეკება. გვაზავს პურტყულს არ უყუროთ და არც დიდხანს გაჩეროთ, თვარა ჩვენ ვეღარ მოგვისტრობს.

მესამე კიდო ჩაწერეთ კალონის ქახალდში რომ ოზრუგეთში მგელსავით ბიჭები ასტროჩქაში არ დატიონ ამ გაისს სახარჯოთ და მომაკვდავები არ წაქეცელონ.

მეოთხე, ამდენი ხანია ქვრივი ვარ, კი გეცოდინებიენ. და კიდეც შევირთვიდი ვინმეს, მარა ამ ხუცების ჯვარდაწერილი არ მინდა, რაცხა იგი

სარწმუნოების თავისუფლებაოა მომასწარით სულზე, ერთი გამევიჯგიმო ამ სიბერის დროს და ვინცხაზე, ახალი ფორმით გედვიწინწილო ჯვარი. ასე ბაბუებო, ჭკუით და აწყაი მშვიდობით.

თქვენი ამომრჩეველი ბერი ზალიკაი შავდღიანიძე. ა.

დეპეშები.

(საქართველოს საააგენტო)

ყვირილა. ს. საქარის გლეხებმა დაარსეს პროფესიონალური კავშირი ,,აყალ-მაყალი''. საქმე ჯერ ჩინებულათ მიდის. უკვე დაამტკრიეს თავ-პირი ხუთ-ექვს კაცს. იარაღები ყველა შეიძინეს, სჭირიათ მხოლოდ ეშმაკის მათრახი.

ხაშური. ვინაიდან აქ აღარავინ დარჩა მოსაძებნი, კოტე გოგოლიძე სხვაგან გაიწვიეს.

თელავი. თელავს უკვე ხუთი საბილიარდო სახლი აქვს. ბანქოს (სათამაშო ქაღალდია) ფასმა ძლიერ აიწია. ქალაქის თავს ყინვამ დაჭკა. მადა კარგი აქვს. გუშინ ჯამაგირის მისაღებათ გაისარჯა.

ბორჯომი. რიადჩიკი მეტ-ლი ძლიერ გაჯავრებულია, რომ მზე ადგომას იგვიანებს და დაწოლას იჩქარის. ეს იმიტომ რომ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე მისი მუშები ვეღარ ასწრებენ 20—25 ვაგონის დაცლა-დატვირთვას.

აბაშა ბაზრის გამგეები ნაგებს იძენენ ქუჩის ტლაპოში საცურავად. ეს ახალი საქმე დიდ ხარჯს ითხოვს, რის დასაფარავად გადასწყვეტეს ღამღამობით ფანრები აღარ აანათონ.

სურამი. გოგორიშვილმა სურამის კასაში ქანქარი იმასქნა, ამიტომ ისიც იმასქნეს.

ფოთელის სიზმარი.

I

მშიერი, ილაჯ-გაწყვეტილი დავბრუნდი სახლში. მთელი დღე ქუჩებში დავწანწალებდი, მაგრამ პურის ფულიც კი ვერ ვიშოვე. მშიერი დავწექ და მკვდარივით ჩამეძინა.

—«მეგობარო! ადე, გამომყე, ქალაქი უნდა დავათვალიეროთ!.—რას ვიზამდი, ავდექ და გავყევ. აჰა, დავუახლოვდით **„ახალ-სოფელს“**, გულში ცოტა იმედი მომეცა. ამ ტალახებში თრევა მობეზრდება და თავს გამანებებს მეთქი გავიფიქრე, მაგრამ ბოროტი სული უფრო მხნედ მოსჩანდა. მომიბრუნდა და მკითხა:

— ესენი ქალაქის მცხოვრებნი არიან?

— დიახ ბატონო!—ვუპასუხე მე.

— ქალაქი ბეგარას იხდევინებს?

— რასაკვირველია იხდევინებს.

— მერმე შეძლება აქვთ, რომ იხადონ?

— აბა რა მოგახსენოთ, არ ვიცი...

— არ იცი!? მაშ გამომყე.

თვალის დახამხამებაში ჩავფრინდით ბუხრიდან ერთ-ერთ სახლში, და, პირდაპირ გრძელ, ძველებურ სკამზე დავშვებით. იქვე ჩვენს გვერდით კედლისკენ სახლის პატრონი იწვა, მეორე მხრით დიასახლისი და სამი პატარა ბალღი, რომელთაც ს ბნის მაგივრათ ტომრის ნაგლეჯები ეფარათ, ბოროტმა სულმა კმაყოფილათ ჩაიცინა და თავისთვის წაიბუტბუტა:

— საბრალონი!...

საინტერესოა ვიცოდე სად მიდის ეს ამათი გადახდილი ფულები, რა საქმეს ხმარდება? სასწავლებლების შენობას? ქალაქის განაპირა ქუჩების გაშრობა-განათებას? თუ სხვა რამე საქველ-მოქმედო მიზნს?

— რასა ბრძანებთ ბატონო, მივუგე მე, ეს ამათი ფული ქალაქის თვითმმართველობას სჭირდება ხარჯებათ.

— იცი რა გითხრა?... ეხლა მე და შენ აქედან პირდაპირ კლუბში გავჩნდეთ, თქვენი ქალაქის ბედის გამგენი უფრო ხშირათ იქ იკრიბებიან. საპიროა ისინიც ვნახოთ

თვალის დახამხაბებაში რიონის პირათ ამართულ კოშკს. თავზე გადავევლეთ და ის იყო ხილიკოვსკის პროსპექტზე უნდა დავქანებულიყავით რომ ბოროტი სული მომიბრუნდა და მითხრა:

— მეგობარო, სანამ კლუბში წავიდოდეთ საპირო ა ქალაქის თავი ვინახულოთ.

— კეთილი, ვუპასუხე მე.

ერთი შევფრთხიალდით და უცებ სიო დავაყარეთ და სარკმლის პუპრუტანიდან შევძერეთ ოთახში, სადაც ქალაქის მამა განისვენებდა. ოთახი მდიდრულათ იყო მოართული: აბრეშუმის ხალიჩებით მოგებული იატაკი, აბრეშუმისავე კედლის ნოხები, ხავერდ-გადაკრული ავარძელი და საგანგებოთ გაკეთებული მაბიდა ოთახს თვალ-წარმტაც სანახავთ ხდიდა. მარცხნით, სუფთად გაგებულ ლოგინზე ღრმათ ჩაფიკრებული იჯდა ნიკოლოზი, ერთ კუთხეში უჩინართ მივმადლეთ რაოდენიმე ხნის შემდეგ კარი გაიღო და ფეხ-აკრეფით შემოგრძანდა ბ-ნი იასონა მას მოჰყვენ ბ-ნნი ლ უ ა რ ს ა ბ ი და ნ ე ს ტ ო რ ი. ნიკოლოზი სტუმრების შესვლის თანავე ზეზე წამოდგა, ყველას თვითოეულათ მიესალმა და კვალად სავარძელში ჩაესვენა, ცოტა ხნის შემდეგ მანიონსაკენ იბრუნა პირი და ჰკითხა?

— იონ მიხაილოვიჩ!? რითი უნდა გადავიხადოთ ის ფულები, რომელიც ამ ორიოდე წლის განმავლობაში დაედო ჩემს ქალაქს?

— არ ვიცი, მოწყვეტილად უპასუხა იონმა. ფოთის ოდენი შემოსავალი ბევრ მის მსგავს ქალაქს არა აქვს, მაგრამ ჩვენ ვალების მეტი ვერასფერი შევძინეთ და...

— ეს რომ ასეა მეც ვიცი საშუალების გამონახვაზე გეკითხები მხოლოდ.

— მივხვდი ბატონო, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ამ საშუალების გამონახვაა საძნელო, რა გინდა რომ ჰქნა?... «ეჩისტკები» დ ვყიდოთ? არ შველის! ქალაქის სავაჭრო დუქნები დავყიდოთ? არ შველის. ტყე გავყიდოთ? ესეც არ მოხერხდება. ის ორი წლით გიგო დიდიას აჩუქა დუმამ თქვენი სურვილის თანახმად. ჩვენ რომ ჩამოვხადოთ ეს ჩვენი მხრით უპრინციპობა იქნება და არც დუმა დაგვთანხმდება. ქართველ ბურჟუას გაღარიბების მომხრე არც თქვენ ხართ თუ არ ვცდები. მაშ სხვა რა წყაროა გვაქვს?

— მუშებს ჯამაგირი დაუკლოთ—არამკითხესავით წაიოიძახა ნესტორმა და თვალი ნიკოლოზს მიაპყრო, რომ მის სახეზე ამოეკითხა, ესიამოვნა თუ არა ეს წინადადება.

— კეთილი! თუმცა დიდ სუმას არ შეადგენს, მარა ამ კრიტიკულ მომენტში ესეც კარგია, დაუკელით, კერი დაუკრა ნიკოლოზ იაკობის ძემ.

მე სულ-განაბული ვუგდებდი ყურს, თუ რას იტყოდა ლუარსაბი, მაგრამ ბოროტმა სულმა მომწყვიტა ამ სანახაობას და გამიტაცა

ელვის სისწრაფით გავიქანეთ ხილკოვის პროსპექტზე და პირდაპირ კლუბთან დავაყარეთ სიო. ტანსაცმელი გავისწორეთ, ულვაშები კოხტად გადავიგრიხეთ და ნელი ნაბიჯით შევედით შიგ. შესვლისთანავე ათ-ოთი შაური გარდავიხადეთ ქირა, შემდეგ ერთ კუთხეში სკამებზე დავსხედით და მოთამაშეთ დავუწყეთ თვალიერება.

მთელი ფოთის არისტოკრატია აქ იყო თავ-მოყრილი. მათ შორის არისტოკრატკებიც ბრძანდებოდნენ, რომელთაც კლუბში პირველი ადგილი უჭირავთ.

— აჩოკ სტო რუბლეი! გაისმა დარბაზის ერთი მხრიდან. ბოროტმა სულმა წამსვე იქით მიაქცია თავისი ყურადღება.

— ვინ არის ეს არსი? იკითხა მან.

— ეს გახლავთ პატივცემული ბუზგალტერი ქალაქისა, რომლის ხელშია მთელი ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიშები.

— ჰმ! . სწორეთ... რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ უკვე მეორე მხრიდან გაისმა.

— აჩოკ პიდისიატ! .

— ეს ვიღაა?

— ეს გახლავთ ცოლი წარჩინებული პირისა.

გრძნეულმა სულმა მასაც მიაპყრა თავის მაცდური თვალები.

— „ბანკ!" გაისმა მესამე მხარეს და გრძნეულმა სულმაც იქითკენ მიაქცია თავისი ყურადღება. ცოტა ხნის შემდეგ ის ისევ მომიბრუნდა და გოცებულ კილოთი წარმოსთქვა:

— აი... ისიც... ჰო, იმის თქმა მინდოდა... ქალაქის თვითმართველობაში... არა!?.

— დიახ ბატონო, ვუპასუხე მე.

ბოროტმა სულმა ამოიღო უბის წიგნი, გაშალა და რისღაც წერა დაიწყო, რომ უცებ იქეთ-აქეთან ისევ გაისმა.

— ატკროი!

— აჩოკ სტო პიდისიატ!

— ბანკ!..

დარბაზში მყუდროება დაირღვა, მოთამაშენი აირ-დაირიენ, ზოგიერთებმა, რომელთაც ქანქარი შემოაკლდათ, ხელ-ტილი დაიწყეს.

ბოროტი სული მიჯდა კუთხეში და ნელი ხმით დაიწყო ღიღინი:

„ხალხი მწუხარე, ტანჯული
ბედისგან განამწარია,
მმართველნი ქუდ-ბედნიერნი
მუდამ გულგანახარია.
ხალხი უმწეო, ღატაკი
სიმშილით კუჭ-დამწვარია,
მმართველნი მისი ნაოფლით
კმაყოფილ-გამძღარია.
ხალხი მტირალე, მკვნესარე
სიცოცხლე-შენაზარია
მმართველნი სალხინ-ქეიფოთ
კლუბებში დანაბარია".

მე შიშით ვკანკალებდი. არ ვიცოდი ვის ვახლდი და სად დავდიოდი, რას ჩავდიოდი. მეშინოდა, ეს სახიფათო მოგზაურობა არ გაეგო ფოთის მამებს, მათ კუდებს და ქალაქიდან არ გავეძევებინე. მაგრამ ჩემი ტანჯვა დიდხანს არ გაგრძელებულა. ბოროტმა სულმა ერთხელ კიდევ მიმოავლო ირგვლივ თვალები, შემდეგ გამომიწოდა ხელი და მითხრა:

—„მშვიდობით დღეისწორამდისო და გამშორდა. უცებ გამომეღვიძა და დავრწმუნდი, რომ ყველა ეს მხოლოდ სიზმარი იყო.

ტლინკაძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! თქვენი ჟურნალის „მათრახი და სალამურის" 23 ნომერში მოთავსებულია „მესტვირეული" (უძღვნი ფოთელებს) ვისმე „ტლინკაძისა" სადაც მას ჩემს შესახებ შეუფერებელი სახელწოდებისთვის მიუმართავს. მე აქ არ გამოვუდგები იმის კანხიდვას, თუ რამდენად დამიმსახურებია და «ნორის» შეგალის სახელი. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ იმ „ტლინკაძისგან" ვგრძნობ თავს შეურაცხყოფილად და ამიტომაც, თქვენივე ჟურნალის სიშვალებით, ვიწყევ მას სამედიტორო საშართაში, სადც, ვფიქრობ, მომეცემა საშვალება ცხად ვყო ჩემი სიმართლე.

ვადას ვნიშნავ ორ კვირეს, ამ წერილის გამოცხადებიდან. საქმე კი უოუად ფოთში ჭნდა გაირჩეს. როცა ის პატივცემული ჩემი მდაქდგელი ინებებს თანხმობას, მეც დავასახელებ ჩემი მხრიდან ორს მედიტორეს. წინასწმეტ შემთხვევაში იძულებული ვიქნები ამ საქმეელს შესაფერი ბასუხი, შესაფერის გზით გავსცე.

ერმალო ჯაველიძე.

—

თქვენ პატივცემულ ჟურნალის მეცამეტე ნომერში იყო მოთავსებული წერილი ჩაქვიდან „დარიბის" ფსევდონიმით. ბ. დარიბმა თითო ოროლა მათრახით ეგვლას, დასაშალს და უდანშალოს, ზერგნი აგვიწვა. როცა მე ბ. დარიბი სამედიტორო საშართალში გამოვიწოდე, ის მეჭერმეტეველურად სდუმს. მე კი ნაცნობ-მეგობრები მისაგვედურებენ, რატომ «დარიბის» წინასწმეტ არავითარი ზომები არ მიიღე. ზოგი საქმის მიფუჩეჩებასაც მწამობენ. ამისთვის ვწვევ ბ. დარიბს ხელ-მეორეთ სამედიტორო საშართალში, სადც ბ. დარიბმა უნდა დამიმტკიცოს ჩემზე მათრახის საჭიროება, წინასწმეტ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებ მას ზნეობრივად და გონებრივად დარიბი და ცალის მწამებელი უწოდო.

თქვენი პატივის მცემელი გიორგი ცომაია.

—

ბ. რედაქტორო! იუმორისტულ ჟურ. „მათრახის„ № 23-ში „საქართველოს საგენტო"-ს განუოფილებაში

მოთავსებულია ქონიკა დიდი ჯიხაიშის სამრეკლო სკოლის შესახებ. ეს ცნობა მე მეხება.

მე საწყიროდ მიმაჩნია, კლაკიორ და ტრუპანტელა ქრონიკორებმა მეორეთ არ გაბედან ჩემგან შეუმოწმებელ ფაქტისა და მით რედაქტია შეცდომაში არ შეიყვანონ, და რომ ჩვენს ახლად ფეხ ად მულ მკითხველ საზოგადოებას ყურნალ-გაზეთების კითხვის უოველივე სურვილი არ დაუკარგონ და ამასთან ერთად ჩემი სიმართლეც ადვილგინო, ვიწვევ სამედიტორო სამართალში აღნიშნულ მოამბეს თანაც ჩემი მხრივ შედიტორად ვასახელებ მს. ნ. დე—ძეს და ეკმ ე. გ. დოსაბერიძეს. ვაძლევ ვადას 6 დღეს. და თუ მართალ ბ-ნი მოამბე დაქირავებული კლაკიორი არ ბრძანდება ნუტუბიძისა და მის ამ ედთა იმედია არ გაექცევა ჩემ მიერ დანიშნულ სამედიტორო სასამართლოს.

მასწ. პ. დევიძე.

პროვინცია.

სამტრედია. სანიტარული კომისიის ერთ-ერთ წევრს პურის ჭამის დროს ყელში ჩხირი გაეკეტა და კინაღამ დაიხრჩო. მაშინვე გამოიწ რეს ქუთაისიდან ერთი მოშინაურებული წერო, რომელმაც ჩხირი ამოაცალა ყელიდან და ქვეყნის ჭირისუფალი სიკვდილს გადაარჩინა. ამაზე დაინიშნა გამოძიება, რომელმაც შეამოწმა პურები და შიგ ათასგვარი მახრჩობელი ნივთიერებანი აღმოაჩინა: ზოგში კენჭები, ზოგში მატლები, ზოგში თაგვები, ზოგში ლურსმნები და მრავალი სხვა ამ ვარები, ვერ აღმოაჩინეს მხოლოდ სანიტარული კომისიის დანარჩენი წევრები და მით უმეტეს მაი თავმჯდომარე. ხმები დადის ისინი სადმე ცოლში ჩავარდებოდენ, გამოცხვებოდენ და ვინმე მჭამელი პურთან ერთათ გადაყლაპავდეთ.

ვარგიზი.

დაბა აბაშა. საშინელი სიცივეები დაიწყო, მართალია ტყემალი მეორეჯერ დამწიფდა, მაგრამ სამაგიეროთ ადგილობრივ ფოსტის განყოფილებაში 200 გრადუსი ყინვაა. ამის გამო მოსამსახურეები დროზე ვეღარ დგებიან და თუ ჩვეულებრივ დროს მიადექი დარაჯები თავისებურათ „ლოცვა-კურთხევით“ მოგიხსენებენ.

პრივატ-ეშმაკი.

აცანა. იქნების ფიქრობ, ეშმაკო
აცანას არ ყავს გვამები,
შენი მათრახის კინწურით
დასატკბობ-დასაამები?
თუ ეს ასეა, შემცდარხარ
მარადის უცდუნებელი,
დროებით მამასახლისი
გვყავს ძმაო, საცხუნებელი.
მოინახულე, უთხარი,
ნუ ცხარობს ეგრე, ძამია:
„აჩქარებითა სოფელი
არავის მოუჭამია“.

თუ პროვიზორსაც ეწვევი
ჩხუბი მას უყვარს რომელსა,
ძალიან ასიამოვნებ
ჩვენს მივიწყებულ სოფელსა.
ქინინის ნაცვლად იქნება
ეფირი მოგაწოდოსა
და თუ დადაღავ მათრახით
მერწმუნე არ იქ ცოდოსა.

სლ. ვისონიშვილი.

ქუთაისი. ძველ გალავნის ქუჩაზე კინაღამ დიდი უბედურობა დატრიალდა. ახალი, გამოუცდელი ქალაქის თავი, მოულოდნელათ და ღრმათ ჩაეფლო ლაფში. დიდის ვაი-ვაგლახით ამოიყვანეს. ამ საქმეში ბრალსა სდებენ ძველ თავს ქალაქისას, ვინაიდან ეს უმთავრესი ქუჩაა ქალაქისა ვაღმა მხრის მცხოვრებლებმა ათასჯერ ითხოვეს მისი შეკეთება. ძველი თავი კი ამის შესახებ ყურებსაც არ აპანტურებდა. იმედი აქვთ, ამ ინციდენტის შემდეგ, ახალმა თაგმა შეეძლება ღმერთს შეხედოს და ქუჩა შეაკეთოსო ვნახოთ.

ნავსი

ბორჯომი. დაჟინებით ამბობენ, თფილისის მთავარ სახელოსნოებიდან ბ-ნი „აკორდი“ ბორჯომის დეპოში აპირებს განსაკურნავად გადმოსველასო. ადგილობრივი მუშები თანდათან იგნებენ, რომ მათი გონებრივ-ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესობა დამოკიდებულია ალკოგოლიზმის განეითარებაზე. ამ მიზნით განზრახულია გააფართოვონ ახლად დაარსებული „მხუხავთა წრე“.

მესამე კლასის ბუფეტში კარტის მოთამაშეთა ბიურო დაიხურა უმთავრეს წევრთა გახიზვნის გამო. სამაგიეროთ გასაოცრათ გაფართოვდა ეს დაწესებულება დანელიას სავაჭროში და მეტრეველის სასადილოში.

რიმკუსა.

მათრახის ფოსტა.

დაუჭეჭდავი მასალა რედაქციიდან არავის არ დაუბრუნდება.

ქუთაისი. ახალ ეშმაკს. ეშმაკი ახალი ყოფილხართ, მაგრამ მესტვირეულის საგანი ერთობ ძველია. ჩვენს გაზეთში ორჯერ იყო იმავე პირებზე თითქმის იგივე დაწერილი. არ დაიბეჭდება.

აბაშა. ალი ეფენდის. იმ ვაჭართან, რომელიც გატყუებთ, ნუ მიხვალთ და ნურც ჩვენ გვაწუხებთ ასეთი წერილით.

სადმე. ა. გვიჩიას.

„მე მსურს მხოლოდ სიცოცხლის საგანს
ცხადათ თუ სიზმრათ მუდამ გეტრფოდე,
შენ სხვა გიყვარდეს, მით იამაყე
მე ნუ გიყვარვარ გეზიზღებოდე“.

ეს ლექი რა საკვირველია დაგვებეჭდა მაშინ ხომ მართლა შეეზიზღებოდით თქვენს „ანიკოს“?

ზესტაფონი. პოლისინეს ნათლულს. ამ დასაქცევ შორაპანში ნუ თუ კარტის მეტი აღარაფერი იციან? არ დაიბეჭდება.

სადმე. ორ-სოდელელს. თქვენი ლექსი, მესამე დუმის შესახებ, გადათარგმნეთ და გაზეთ „ნაშ კრაის“ მეფლეტონე

არ-სკის გაუგზავნეთ. ყველა დეპუტატს ერთ გოდორში ის ათავსებს.

ბაძო. გნეგლის. „სიყვარულის“ ლექსები უმჯობესია „დროებაში“ გ. გზავნოთ. ჩვენი გაზეთი ასეთ ავტორებს მათრახის კუდით ჯილდოებს.

ბათუმი. ბნელიძეს.

«მთის მწვერვალიდან დავსცქერი
თბილისის არე მარეს,
მოცებს მისი სიტურფე
შემკული ყოველ მხ.რესა».

თუ მართლა თფილისის არე-მარე „შემკული“ გიჩვენათ, ცხადია ან იმ მთის მწვერვალზე ბნელოდა, სადაც თქვენ იდექით და ორი არშინით ზევით.

სურამი. კოპლს. ნიტავ ვიცოდეთ ეს ლექსი ფეხით ხომ არ დაგიწერიათ, რომ ასე საშინლათ კოპლობს?

ფოთი. ბრუნება. სრულიად საპირო არ იყო ამ ფსევდონიმისთვის ნება, რადგან უმისოდ ც დასწერდით ასეთ მშვენიერ ლექსს. არ დაიბეკდება.

ბათუმი. თებროშვილს არ დაიბეკდებ.

ხაშური. გ-ლის. ჩვენ სან. პაპინაშვილის წერილი იმისთვის ვერ დანბეკდეთ რომ პოლემიკა არ გვინდოდა გაზეთში, რადგან დარწმუნებული ვიყავით თქვენ პასუხს გასცემდით. ახლა თუ თქვენც გსურთ სიმართალი, გაუგზავნეთ მას თქვენი რწმუნებული და საკმეც გათავდება. გადაწყვეტილებას ჩვენ დაბეკდავთ.

1910 წლისთვის

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

პრემიათ გაეგზავნება

ახალი პრეგული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვ. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ელირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოტანილ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ **2 მ. 50 კ.** დანარჩენი **2 მ. 50 კ.** პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გაუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: **ა.ზიანი, ბლიეგვაძე, განჯის-კარელი, ეშმაკი, გოლდემარი, ზომლეთელი, თურდოსბირელი, ისაძანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, პატნა, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რეშაგელი, ტუქსიაშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანგოლა და სხვანი.**

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ Типографія Т-ва „Шромэ“ Василію Карамановичу Болквадзе.

ელექტრო-მ.ეგდავი ამბ. „შრომა“ რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი **ე. ტურაბელიძე.**